

შპს „მეიდან ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
2. მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
5. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7
6. ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი.....	27

შპს „მეიდან ჯგუფი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნები	31/12/2023	31/12/2022 გადაანგარიშებული	01/01/2022 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	14,654,722	14,931,078	15,224,145
არამატერიალური აქტივები	6	11,853	13,175	14,546
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	7	284,896	284,896	17,163,888
გრძელვადიანი მოთხოვნები		10,000	10,000	649,713
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,961,471	15,239,149	33,052,292
მიმდინარე აქტივები				
დარიცხული მოთხოვნები		14,671	13,921	178,048
საგადასახადო აქტივები	8	411,537	438,282	460,904
მარაგები	9	26,165	9,735	1,315
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	17,360,807	16,862,657	21,690,859
ფული და ფულის ექვივალენტები	11	31,347	31,183	57,240
სულ მიმდინარე აქტივები		17,844,527	17,355,778	22,388,366
სულ აქტივები		32,805,998	32,594,927	55,440,658
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულება	12	-	210,668	599,058
მიღებული სესხები		-	-	208,115
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	7,558,653	7,675,742	7,756,572
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,558,653	7,886,410	8,563,745
გრძელვადიანი ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		7,558,652	7,886,410	8,563,745
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	14	10,199,676	10,199,676	10,199,676
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	14	15,047,669	14,508,841	36,677,237
სულ კაპიტალი		25,247,345	24,708,517	46,876,913
სულ კაპიტალი და ვალდებულება		32,805,998	32,594,927	55,440,658

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 18 ნოემბერს:

დირექტორი



შპს „მეიდან ჯგუფი
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022 გადაანგარიშებული
ამონაგები	15	3,780,653	3,105,590
სხვა შემოსავალი	16	709,686	530,971
სულ შემოსავალი		4,490,339	3,636,561
საოპერაციო ხარჯი	17	(1,232,452)	(1,400,381)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(331,397)	(330,828)
საოპერაციო მოგება		2,926,490	1,905,352
მიღებული დივიდენდები	18	22,600	29,000
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19	3,220	11,490
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20	(22,000)	(16,878,992)
ფინანსური შემოსავალი	21	-	15,505
ფინანსური ხარჯი	22	(2,151)	(3,746)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	23	-	(391,932)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2,928,159	(15,313,323)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		2,928,159	(15,313,323)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		2,928,159	(15,313,323)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 18 ნოემბერს:


 დირექტორი
 

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტლის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	10,199,676	36,677,237	46,876,913
წლის ზარალი	-	(15,313,323)	(15,313,323)
წლის სრული ზარალი	-	(15,313,323)	(15,313,323)
გამოცხადებული დივიდენდი	-	(6,855,073)	(6,855,073)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(6,855,073)	(6,855,073)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	10,199,676	14,508,841	24,708,517
წლის მოგება	-	2,928,159	2,928,159
წლის სრული შემოსავალი	-	2,928,159	2,928,159
გაცემული დივიდენდი	-	(2,389,331)	(2,389,331)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(2,389,331)	(2,389,331)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	10,199,676	15,047,669	25,247,345

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 18 ნოემბერს:



დირექტორი



შპს „მეიდან ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მუხლების დასახელება

მიღებული ფულადი სახსრები მომხმარებლებისაგან

სხვა მიღებული ფულადი სახსრები

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული თანხები

გაცემული ფულადი სახსრები თანამშრომლებზე

გაცემული ფულადი სახსრები მომწოდებლებზე

გაცემული ფულადი სახსრები საგადასახადო დავალიანებებზე

სულ გაცემული თანხები

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შესყიდვა

კაპიტალის შევსება

მიღებული დივიდენდები

მიღებული ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

სესხის ძირის დაფარვა

სესხის პროცენტის დაფარვა

დივიდენდის გაცემა

საკუროს სხვაობის გავლენა

სესხის პროცენტის მიღება

გაცემული ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

წმინდა ფულადი სახსრები არასაოპერაციო საქმიანობიდან

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს

2023	2022
4,859,162	7,465,718
-	1,822,900
4,859,162	9,288,618
(689,984)	(666,921)
(495,566)	(516,536)
(1,044,190)	(838,036)
(2,229,740)	(2,021,493)
2,629,422	7,267,125
(31,602)	(36,391)
(14,000)	-
22,600	29,000
(23,002)	(7,391)
-	(208,115)
(2,151)	(250)
(2,600,750)	(7,246,959)
-	(1,659)
-	175,789
(2,602,901)	(7,281,194)
(2,625,903)	(7,288,585)
(3,355)	(4,597)
-	-
(3,355)	(4,597)
164	(26,057)
31,183	57,240
31,347	31,183

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 18 ნოემბერს:

დირექტორი



1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს მეიდან ჯგუფი (შემდგომში - კომპანია) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დასუფთავების სერვისის მიწოდება. იგი დაარსდა 2007 წლის 1 თებერვალს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204523239. შპს მეიდან ჯგუფი არის უძრავი ქონების მართვისა და განვითარების კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართების იჯარით გაცემა. კომპანიის მეორე ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა უძრავი ქონების მართვის სფეროში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- 404541484, შპს მეიდანზე (75%), რომლის 100% მფლობელი არის ზაზა ნიშნიანიძე.
- 404540671, შპს მეიდანია (25%), რომლის 100% მფლობელი არის ლაშა ქევანიშვილი.

კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., N44 კომპანიის დირექტორი: 01017010344, ქეთევან ხუროძე

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის

გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი სა ოცენო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2,7020	2,8844
2023 წლის 31 დეკემბერი	2,6894	2,9753

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ

არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიას საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიას მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღდგენილობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების (წლებში) ვადა
შენობა-ნაგებობა	50-100
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25-50
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
მანქანა-დანადგარები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	2

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს რელიზებული მინის ბოლთებით მიღებული შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მემიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე

რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „მეიდან ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2021	2,582,038	13,246	14,362,156	470,681	133,812	148,604	209,083	1,951,211	19,870,831
შემოსვლა	-	35,287	-	-	1,102	-	-	-	36,389
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	2,582,038	48,533	14,362,156	470,681	134,914	148,604	209,083	1,951,211	19,907,220
შემოსვლა	-	20,121	-	-	7,367	15,725	-	10,505	53,718
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	2,582,038	68,654	14,362,156	470,681	142,281	164,329	209,083	1,961,716	19,960,938
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2021	-	-	(3,171,952)	(424,586)	(105,259)	(123,956)	(125,473)	(695,459)	(4,646,685)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	(245,996)	-	(6,934)	(8,410)	(11,577)	(56,540)	(329,457)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	-	(3,417,948)	(424,586)	(112,193)	(132,366)	(137,050)	(751,999)	(4,976,142)
წლის დარიცხული ცვეთა	-	-	(245,996)	-	5,825	10,136	11,577	56,540	(330,074)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	(3,663,944)	(424,586)	(118,018)	(142,502)	(148,627)	(808,539)	(5,306,216)
31 დეკემბერი 2022	2,582,038	48,533	10,944,208	46,095	22,721	16,238	72,033	1,199,212	14,931,078
31 დეკემბერი 2023	2,582,038	68,654	10,698,212	46,095	24,263	21,827	60,456	1,153,177	14,654,722

კომპანიის საკუთრებაში არსებული არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს. ტექნიკური ხარვეზების გამო მოხდა ძირითადი საშუალებების გადაანგარიშება. ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ცვეთა და მორტიზაციის მუხლის ქვეშ.

შპს „მეიდან ჯგუფი
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

6. არამატერიალური აქტივები

	პატენტები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	8,362	18,441	26,803
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	8,362	18,441	26,803
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2023	8,362	18,441	26,803
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	-	(12,256)	(12,256)
წლის დარიცხული ცვეთა		(1,372)	(1,372)
გასვლები			-
31 დეკემბერი 2022	-	(13,628)	(13,628)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(1,322)	(1,322)
გასვლები	-	-	-
		-	
31 დეკემბერი 2023	-	14,950	(14,950)
31 დეკემბერი 2022	8,362	4,813	13,175
31 დეკემბერი 2023	8,362	3,491	11,853

არამატერიალური აქტივების ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ცვეთა და მორტიზაციის მუხლის ქვეშ.

7. ინვესტიციები

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „მეიდან ჯგუფი“ ინვესტიცია განხორციელებული აქვს შემდეგ კომპანიებში:

	2023	2022
შპს „იზი ვაინ თბილისი“	284,896	284,896
სულ გრძელვადიანი ინვესტიციები	284,896	284,896

კომპანია ფლობს შპს „იზი ვაინ თბილისი“ 50%-ს, თუმცა ის არ არის მის მართველობაში.

8. საგადასახადო აქტივები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით. 2023 წლისთვის საგადასახადო აქტივებმა შეადგინა: 411,537 ლარი, (2022: 438,282 ლარი). საგადასახადო აქტივების უმეტეს ნაწილს შეადგენს გადახდილი დღგ და ქონების გადასახადი.

9. მარაგები

	2023	2022
ნედლეული და მასალა	26,165	9,735
სულ მარაგები	26,165	9,735

კომპანია მარაგებს არ იყენებს საოპერაციო საქმიანობისთვის.

კომპანიის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,019,103	563,625
მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ	16,144,672	16,144,673
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	194,362	147,689
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	2,670	6,670
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,360,807	16,862,657

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2023	2022
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	7,000	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	7,895	14,157
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	12,081	12,081
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	4,371	4,945
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	31,347	31,183

12. ფინანსური ვალდებულება

	2023	2022
შპს "კალა 2005"	-	210,668
სულ დარიცხული ვალდებულებები	-	210,668

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალდებულებები

	2023	2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	(7,555,471)	(7,672,204)
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოსთან	(3,181)	(3,181)
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	(1)	(357)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,558,653)	(7,675,742)

14. კაპიტალი

	31.12.2023	31.12.2022
საწესდებო კაპიტალი	10,199,676	10,199,676
დაგროვილი მოგება	15,000,789	36,677,238
პერიოდის მოგება	2,950,159	-14,821,375
გაცემული დივიდენდი	-2389331	-6,855,074
სულ კაპიტალი	25,761,293	25,200,465

15. ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი იჯარიდან	3,731,086	3,056,980
შემოსავალი დამატებითი კომუნალურიდან	8,704	10,130
შემოსავალი დიზელ-გენერატორის იჯარიდან	10,170	10,170
შემოსავალი ელ.ენერგია	13,567	18,596
შემოსავალი წყალი	3,896	3,139
შემოსავალი ბუნებრივი აირი	13,230	6,575
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	3,780,653	3,105,590

16. სხვა საოპერაციო შემოსავალი

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2023	2022
სხვა საოპერაციო შემოსავალი	709,686	530,971
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	709,686	530,971

17. საოპერაციო ხარჯი

	2023	2022
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(838,232)	(775,956)
საიჯარო ქირის ხარჯი	(152,740)	(167,596)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(122,901)	(126,257)
რემონტის ხარჯი	(34,628)	(109,421)
საკონსულტაციო ხარჯი	(25,783)	(37,950)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(21,008)	(33,769)
დაზღვევის ხარჯი	(10,836)	(8,782)
სხვა საერთო ხარჯი	(7,784)	(30,446)
კომუნალური ხარჯი	(6,774)	(61,462)
კომპიუტერის ხარჯი	(3,086)	(3,355)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(2,291)	(1,329)
ტაქსით მომსახურების ხარჯი	(2,290)	(1,990)
საოფისე ხარჯი	(1,733)	(915)
საკანცელარიო ხარჯი	(1,302)	(1,696)
ჯარიმის ხარჯი	(1,064)	(18,359)
საწვავის ხარჯი	-	(21,098)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,232,452)	(1,400,381)

18. მიღებული დივიდენდები

	2023	2022
--	------	------

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს "გალერეა გვირაბი"	22,600	29,000
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	22,600	29,000

19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
COVID-19 შეღავათი	-	11,000
სადაზღვეო შემთხვევის ანაზღაურება	3,220	490
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3,220	11,490

20. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2023	2022
წილის რეალიზაციის თვითღირებულება	(22,000)	(16,878,992)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(22,000)	(16,878,992)

21. ფინანსური შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	-	15,505
სულ ფინანსური შემოსავალი	-	15,505

22. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
შპს "კალა 2005"	-	(3,496)
სს ბაზის ბანკი 2016-12-30/0017/BSN/023933/006	-	(250)
სს ბაზის ბანკი	(1,066)	-
სს ბაზის ბანკი	(1,085)	-
სულ ფინანსური ხარჯი	(2,151)	(3,746)

23. წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	(4,158)
სხვა არაფულადი სახსრები	-	(387,774)

სულ მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან

- (391,932)

24. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS

24 -ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტორლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც ამღებს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

შპს "მეიდანზე"	2023	2022
გაცემული დივიდენდი	1,794,022	6,317,526
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,662,073	3,662,073
	5,456,095	9,979,599

შპს „მეიდან ჯგუფი“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს "მეიდანია"	2023	2022
გაცემული დივიდენდი	597,333	537,548
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,667,879	5,667,879
	6,265,212	6,205,427

შპს "გალერეა გვირაბი"	2023	2022
მიღებული დივიდენდი	22,600	29,000
	22,600	29,000

მენეჯმენტის ანაზღაურება:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2023	2022
მიხეილ ბეგიაშვილი	236,068	190,628
ქეთევან ხუროძე	77,747	77,747
სულ გაცემული ხელფასები მენეჯმენტთან	313,815	268,375

25. შესადრისი ფინანსური ანგარიშგების გადანაგარიშგება

კომპანიამ 2021 და 2022 წლის პერიოდთან მიმართებაში განახორციელა რეკლასიფიკაციის კორექტირებები მოგება-ზარალის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავს მოგება-ზარალის ანგარიშგები მუხლებთან დაკავშირებულ რეკლასიფიკაციებს:

	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
დაზღვევის ხარჯი	(2,704)	(6,078)	(8,782)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(110,504)	(15,753)	(126,257)
	(113,208)	(21,831)	(135,039)


	ცვეთა და ამორტიზაცია		
	გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ცვეთის ხარჯი	(316,317)	(14,511)	(330,828)
	(316,317)	(14,511)	(330,828)

შპს „მეიდან ჯგუფი“
კაპიტლის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში გასცა დივიდენდები, ჯამურმა თანხმა შეადგინა 1,905,000 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 18 ნოემბერს:


დირექტორი

